K 602
1a

К 602
Ф-5. 2017-2293/4

შარიამ დედოფალმა რა მიზნით მოკლა რუსის გენერალი ლაზარევი

და

ერწანისის ომის ამბავი 1795 წ.

ზ. ჭიჭინაძისა

ფასი 5 მანეთი

თბილისი
სტამბა „განათლებისა" დ. ლ. პიტნავასი
1926

მარიამ დედოფალმა რა მიზნით მოკლა რუსის გენერალი ლაზარევი

და

კრწანისის ომის ამბავი 1795 წ.

საქართველოს სამეფოს მოხაშლედად რუსეთის იმპერატორები არაფერს არა ჰზოგავდენ, იმპ. ეკატერინემ ყველას გადააჭარბა, მის დროს, ერეკლე მეფე ოთხჯერ იქმნა მოტყუილებული, სოლომონ მეფე პირველი ერთჯერ, სოლომონ მეორე კი რამდენჯერ მოატყვილეს, მისივე წყალობით, საქართველოს თავს დაეცა აღა მაჰმად-ხანი 1795 წ. ესევე მტერი მეორეთ აპირებდა საქართველოზედ დაცემას 1797 წელს, ასეთ წადილით გარდაიცვალა ეკატერინე 1976 წ. შემდეგ გამეფდა პავლე I, გიორგი მეფის მეგობარი და ქრისტიანების დიდი მფარველი, გიორგი მეფემ იგი ქრისტესაც კი შეადარა, ეს ჩუმათ ყეინს საომარ იარაღსაც უგზავნიდა. ეკატერინემ კავკასიაში გამოგზავნა ჯარი, რომლის მეთაური იყო გრაფ. ვალ. ზუბოვი, მას უნდა დაეპყრო ბაქო, ყუბა და მთელი კასპის ზღვის ნაპირა ადგილები და ქალაქები, ამასთანავე დაღესტანი და ბოლოს ეს გე-

ნერალი საქართველოშიაც უნდა შემოსულიყო, მაგრამ პავლე იმპერატორმა ეს განზრახვა აღარ შეასრულა.

რუსეთმა ვერ შეასრულა წადილი და საქართველო ვერ მოსპო. ცბიერ ყეინიც მოკლულ იქმნა ქ. შუშაში, ამ გარემოებას ი რა სიტყვებით გადმოგვცემს დავით ბატონიშვილი:

„ხოლო აღა მაჰმად ხანმან ხოჯამან დაიპყრო ციხე შუშისა, რომელსაც ენება წარტყვევნა სრულიად ქართლისა, გარნა ღმერთმან განათავისუფლა ქართველნი. რამეთუ ღამესა მას მოკლეს მსახურთა მისთა.“

პავლემ მეფე ერეკლე მოხიბლა თითქმის და ყოველი ბოროტება რუსეთის იმპერატორისა დაფარულ იქმნა საქართველოს დასაღუპად, იმის შემდეგ განვლო მცირე ხანმა და **1798** წ. დამდეგს მეფე ერეკლე გარდაიცვალა, ამის მაგიერ პავლე იმპერატორის ნებართვით და 1783 წ. ტრაკტატის ძალით გამეფდა გიორგი მეფე.

პავლე იმპერატორმა გიორგი მეფესთან გამართა მეგობრობა, წერილების მიწერ-მოწერა, ფეშქაშების, ელჩების გზავნა და სხვ.

პავლე იმპერატორმა გიორგი მეფეს შეუჩინა კოვალენსკი და სამხედრო საქმეთა და ჯარის უფროსი ლენერალი ლაზარევი. ერთსაც და მეორესაც ამათ აუწყეს იმის დავალება, რომ იგინი იგზავნებოდენ ქართველის მეფის გიორგის წინაშე დასახმარე-

ბლად, მაგრამ მიუხედავად ასეთ დახმარებისა უნდა ცდილიყვნენ და საქართველოს სამეფო ოჯახი, რომელიც შესდგებოდა ერთობ დიდის რიცხვისაგან უნდა აერიათ.

კოვალენსკი და ლაზარევი რუსის ჯარით თბილისში მოვიდნენ 1799 წ. 5 დეკემბერს, ეს ბნელ მოციქულები გიორგი მეფემ დიდი პატივით მიიღო, ამ პირთა მოსვლა ანჩხატის ეკლესიაში იდღესასწაულა კიდეც და დიდი წირვა და პარაკლისი გადაიხადა პავლეს სადღეგრძელოდ. კოვალენსკი და ლაზარევი დაუახლოვდენ მეფე გიორგის, ესენი გიორგი მეფეს ყოველთვის ხიბლავდენ და რაც სურდათ იმასვე აკეთებინებდენ მას. მცირე ხანს შემდეგ მეფემ ისურვა ლაზარევის ნათლიობა, ლაზარევი ასეთ პატივის ცემას ყურადღებას არ აქცევდა, მას დღე და ღამ თვალწინ ედგა თავის ხელმწიფის დავალების შესრულება, რაც კი საქართველოს სამეფოს მალე გაუთხრიდა სამარეს და მის მეოხებით ამ ქვეყანას და ქართველ ერს რუსები ჩაიგდებდენ ხელში.

ლაზარევი იყო ნამდვილი რუსი და პავლე იმპერატორის ტიპის ღენერალი.

მან გაიცნო ქართველი ბატონიშვილები: გიორგი მეფე, ასევე ამისი შინაური საქმენი, მათი ურთერთ შორის დამოკიდებულება ამატომ მან გკველური პოლიტიკა დაატრიალა.

ღენერალ ლაზარევმა შესძლო ის რაც ვერ შესძლეს მის წინეთ რუსის სხვა ღენერლებმა.

ღენერალ ტოტლებენი, რომელმაც მეფე ერეკლე მოატყვილა და ასპინძის ომში ულალატა მეფე ერეკლეს, მან რუსის ჯარი უკან დასწია ასპინძის ომიდამ, მაგრამ მაინც იგი თავის ვერაგობას არ იშლიდა, გიორგი მეფის წინაშე, საქართველოს დასალუპად იგი ბევრ ნაირ გველობას ხმარობდა, რაც არ იქმნა დაფარული და ყოველივე გამოცხადდა ბოლოს. ამის ბოროტებას ასაბუთებს შედეგი საიდუმლოებანი, ამასაც მოვითვლით.

ღენერალ ლვოვი, რომელმაც მეფე ერეკლეს ტოტლობენის ღალატი დაავიწყა და თვით უფრო მოატყუა და ქართველი ჯარი გასწყვიტა.

ღენერალ სუხოტინმა, რომელმაც მეფე სოლომონ მეორე მოატყვილა და იმერთა ჯარი გაუწყვიტა.

ღენერალ ბურნაშევი, რომელმაც მეფე ერეკლე მოატყუა და განჯისაკენ, ლაშქარი გაუწყვიტა.

ამათ გარდა ვერც სხვა ღენერლებმა მოახერხეს ის და შესძლეს, რაც შესძლო და მოახერხა ღენერალ ლაზარევმა და ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ეს ბოროტებანი მან სულ ორი წლის განმავლობაში შესძლო, 1799 წლიდამ 1800 წლის ნახევარამდის. მან მოაწყო და მოახერხა ისეთი საქმენი, რომ წლის თავზედ, ანუ 1800 წ. გიორგი მეფის ოჯახი და სამეფო ისე არია, რომ თვით გიორგი მეფეც კი გადაჰკიდა თავის შვილს დავითს და დავითი კიდევ თავის მამა გიორგი მეფეს.

ლაზარევმა გიორგი მეფე ადვილად აიყოლია, და გადაჰკიდა შვილი მამას და მამა შვილს, ამ ბოროტების დასათესათ ლაზარევს უხმარნია შემდეგი:

გიორგი მეფის მეუღლე, მარიამ გიორგი ციციშვილის ასული, რომელიც მეფე გიორგიმ პირველი ცოლის სიკვდილის შემდეგ შეირთო, ისეთი თვალადი და ლამაზი ყოფილა, რომ მისი მსგავსი ქალი თურმე მთელს საქართველოში არ მოიძებნებოდა. ამიტომაც, ერთ დღეს ლაზარევმა მეფე გიორგის აუწყა შემდეგი ჭორი თუ ნამდვილი ამბავი:

ბატონო მეფეო, თქვენი შვილი დავით მიუხედავათ იმისი, რომ არ იქცევა თქვენს მოსაწონად, რომ იგი მარხვაჭამიაც არის თქვენის ჯიბრით და ურწმუნო, გემდურებათ კიდევ მასზედ, რომ თქვენი მეუღლე დედოფალი მარიამის შერთვა მას სდომია და თქვენ დაგისწვრიათ მისთვის და თქვენ შეგირთავთ, ამაზე გემდურით იგი დიდათ.“

ბედშავი მეფე გიორგი გადირია თურმე ამ ამბავისაგან და ამავე დღეს თურმე თავისი შვილი დავითი ნახა, ამ ჭორის საყვედური კი არ უთხრა და ის კი აუწყა: შვილო დავით, მარხვას ნუ სჭამ, ცოდვა არისო, თორემ ვერ იმეფებო. დავითმა უარი უთხრა: მე მარხვის ჭამას ვერ დავიშლი. რაც შენ გწამს ის მე გამიწყრესო და რაც მე მწამს ის შენ გაგიწყრესო.

ასეთი პასუხი მისცა მამას. რა კი ლაზარევმა ეს ამბებიც გაიგო, მის შემდეგ, გიორგი მეფე ძალე

ნახა და ისეთი შხამიანი ცნობა გადასცა, რამაც ეს უბედური მეფე ლოგინში ჩააგდო. აი თურმე რა ქნა და რა უთხრა ამ ბოროტმა ღენერალმა მეფე გიორგის:

„დავითი ამბობს, რომ მართალია, მამაჩემმა წამართო ჩემი საცოლე, მაგრამ ეს არასფერი, მამაჩემი სნეული კაცია, იგი მალე მოკვდება და მე მაინც ჩემს წადილს ავისრულებო.“

რადგანაც ლაზარევმა გიორგი მეფის ოჯახში თავისი შხამი ისე ჩაანთხია, რომ მამა და შვილი ერთმანეთს სასტიკად გადაჰკიდა, რის შიში მას დიდათ ჰქონდა, ამის მერე იგი სხვა ბოროტ გზას დაადგა, ახლა იგი სხვა ბატონიშვილებს დაუახლოვდა, უფრო კი იმათ ვისგანაც შიში ჰქონდა. გიორგი მეფის შემდეგ რომ იგი არ გამეფებულიყოს.

ესენი იყვნენ მეფე ერეკლეს შვილები; ალექსანდრე, იულონი, ვახტანგი და სხვანი, ამათში მან კბილი მოჰკიდა ვახტანგ ბატონიშვილს, რომელიც ისე შეისყიდა და ისე მიიბირია თვისკენ, რომ მერე თვითონ ეს ვახტანგ ბატონიშვილი გამხდარა მიზეზი საქართველოს უბედურების და ტახტის დამხობის. ვახტანგი ლაზარევს მიუმხრია ჩინებით და ფულებით. ამ ბატონიშვილის წყალობით დამხობილა საქართველოს სამეფო. ამ პირის ბოროტებაზედ დავით ბატონიშვილი აი რას ამბობს:

„ესე ვახტანგი იყო ბოროტების მთესველი და [illegible] და ბოლო სიცბილისა, რომლისაგანაც დაემ-

ხო ტახტი და ოჯახი ბაგრატიონთ მეფობის საქართველოში".

ასე ახასიათებს ამ პირს დავით ბატონიშვილი. ლაზარევმა ვინც შეისყიდა, ის ხომ მისი იყო და რუსეთის ერთგულნი და ვინც ვერ დაიყოლია, იმათ კიდევ უსისინებდა.

ალექსანდრე ბატონიშვილს ეუბნებოდა, რომ მამა თქვენი ირაკლი მეფე იყო დიდი მეფე, მას დიდი ამაგი აქვს საქართველოზედ, ამიტომ მისი ანდერძი უნდა აღსრულებული იქნეს, ტახტი გიორგის შემდეგ ძმათა უფროსობით უნდა გადავიდეს და არ მოიშალოს ერეკლე მეფის ანდერძი, რადგანაც თქვენა ხართ უფროსი ძმა, ამიტომ თქვენ გერგებათ ტახტი, ალექსანდრე ბატონიშვილს ასე ასისინებდა.

იულონ ბატონიშვილს ეუბნებოდა: „რადგანაც მამის თქვენის ერეკლე მეფისაგან გიორგის შემდეგ თქვენა ხართ მეფეთ დანიშნული, ამიტომ თქვენ ვალი გაძევთ, რომ მამის თქვენის ანდერძი არავის მოაშლევინოთ და სხვა არავინ გამეფდეს თქვენის მეტი. მეფე ერეკლეს ანდერძი თქვენ ისე უნდა დაიცვათ, რომ ამისთვის თუ საჭირო იქნება, იარაღიც უნდა იხმაროთ და სასხლიც დაღვაროთ.

დავით ბატონიშვილს ასე ხიბლავდა — შენა ხარ გიორგის შემდეგ ტახტის მემკვიდრე, პაპა შენი მეფე ერეკლე შემცდარა, რომ ისეთი ანდერძი დაუტოვებია, ამ შეცდომას რუსეთის მთავრობა თავი-

დან აგაცდენს და საქართველოს მეფეთ შენ დაგამ-
ტკიცებენ მით უფრო, რადგან,ც შენ რუსეთის გე-
ნერალიც ხარ.

ერთი სიტვვით ყველა ბატონიშვილებს ეს ბო-
როტი ისე ასისინებდა და ისე რაზმავდა, ვისაც
როგორ რა მოუხდებოდათ, იყვნენ ისეთი ბატონი-
შვილები, რომელთაც ტახტის მიღება არ ერგებო-
დათ და თუ ერგებოდათ, ეს იქნებოდა ერთობ
გვიან, ასეთებს კიდევ აი რა დარიგებას აძლევდა
იგი. ასეთის დარიგებით მოუხიბლავს და შეუსყიდ-
ნია ვახტანგ ერეკლე მეფის ძე.

ჩემო ვახტანგ, შენ აბა რა გერგება, არასფე-
რი, შენ ვინც კარგად გაცხოვრებს, შენთვის ის
უნდა იყოს კარგი და საჭირო. შენ, ვინ იცის, რო-
დის გერგება მეფობა და იმ დროს ცოცხალი იქნე-
ბა თუ არა, შენ დღევანდელი დიდება ირჩიე. შენ
გახდი რუსეთის ერთგული, შენ ამით იპოვნი დიდს
ბედნიერებას, იცხოვრებ კარგად და დიდის დიდე-
ბით,", ასე მოხიბლა თურმე ლაზარევმა არა მარტო
ვახტანგ ბატონიშვილი, არამედ სხვანიც ბევრნი.

მან შეაცდინა თვით დავითიც, ესეც ატყუილა
ასე და ალოლიაებდა, ეტყოდა: შენ სამეფოს ვერ-
ვინ წაგართმევს, გიორგის შემდეგ შენა ხარ მეფეთ,
მოიცადე, შენის ნებით ნუ გამეფდები, მალე რუ-
სეთის იმპერატორი გაგამეფებს 1783 წ. ტრაქტა-
ტის ძალით, დავითიც ამას ელოდა.

ის კი არა და ამ ლოდინში ალექსანდრე პირ-

ველის ბრძანება მოუვიდა გენერალ ლაზარევს ჩუმათ, რომ საქართველო გიორგი მეფის თანხმობით რუსეთის იმპერიასთან დაკავშირებულ იქმნა და საქართველო რუსეთის გუბერნიებათ გამოაცხადეთო.

დავით ბატონიშვილს ტახტი წაერთვა ლაზარევის მოტყუილებით და დალოლიებით, ყველაფერი უბედურება სულ ამ გენერალს მიეწერება, ამისთვის აქ მოვიყვანთ შემდეგ ცნობას რაც პლატ. იოსელიანსაც მოჰყავს „მეფე გიორგის ცხოვრებაში„.

მეფე გიორგი შეწუხდა დიდად, იმ დროს, მეფესთან შევიდა მეუღლე მისი, მარიამ დედოფალი, ამან მოახსენა თავის ქმარს, მეფე გიორგის ასე: „ბატონო მეფეო, რას გვიბრძანებთ, თუ რომ უბედურება გვეწია, ვის აბარებთ სამეფოს, დედა თქვენს, შვილს დავითს, თუ თქვენს ძმებს“. მეფე გიორგიმ მიუგო თურმე თავის ცოლს, მარიამ დედოფალს ასეთი სიტყვა:

„დედოფალო დამიძახეთ გენერალ ლაზარევს მე აუჩენ პატრონსა“.

მალე აფრინეს კაცი გენერალ ლაზარევთან, ეს მალე მივიდა მეფესთან, ლაზარევმა უკარნახა მეფეს, ურჩია საქართველოს შეერთება რუსეთთან, თორემ სულ ერთია ერეკლეს შვილები შენს შვილებს არ დაანებებენ მეფობასო. ამიტომაც მეფეს რა დარიგებაც ლაზარევმა მისცა, მეფემაც ის დარიგება დაავალა ლაზარევს ასე:

„ღენერალო, დასწერეთ წერილი მოკლეთ და აცნობეთ, იმპერატორს პავლეს უკანასკნელი დღენი ჩემი და ისიც, რომ ცოლშვილი და საქართველო ჩაებარებია მისთვის“.

ლაზარევსაც ეს უნდოდა, დასწერა ამან მოკლედ წერილი, მეფემ ხელი მოაწერა, ბეჭედი დაასვეს, ჩადეს კონვერტში და, შიკრიკს მისცეს და გაგზავნეს რუსეთში პავლე იმპერატორთან.

ამ გარემოებამ აღაშფოთა ყველა ბატონიშვილები, ამ გარემოებამ არია ყველა იგინი და მაშინ კი იცნეს ზოგი ერთებმა ლაზარევი თუ იგი რა გველიც იყო, ამის უკმაყოფილონი იყვნენ არა მარტო სამეფო გვარნის წევრნი, არამედ სხვანიც, რადგანაც ლაზარევმა გიორგი მეფის წერილი პავლე იმპერატორს ისე გაუგზავნა, რომ იგი არავის გააგებინა, გარდა მარიამ დედოფლის, ეს კი ყველაფერს უყურებდა იმას, თუ ლაზარევი როგორ ხიბლავდა და ატყუებდა ხოლმე მის ქმარს, გიორგი მეფეს.

ამ დღიდან მარიამ დედოფალს დიდათ შესძაგდა გენერალ ლაზარევი. მარიამ დედოფალი თავის ოჯახის უბედურების და საქართველოს ბატონიშვილების არევას და ერთმანეთზედ გადაკიდებას სულ ლაზარევის ბრალიად იტყოდა. თურმე: სწორედ ამ გენერლისაგან ატეხილ შფოთმა გამოიწვია ის გარემოება, რომ მეფე გიორგის გვამი სიკვდილის დღიდან სამი თვე დარჩა დაუსაფლავებელი, სიონის ეკ-

გიორგისაგან ჩუმათ პავლესთან წერილის მიწერა გახდა არა მარტოთ საქართველოს აღრევის მიზეზათ, არამედ შფოთებისაც და კინაღამ მეფე ერეკლეს შვილებმა მეფე გიორგის შვილებიც კი დახანჯლეს, ყველაფერი ეს რომ ლაზარევის მოწყობილი იყო, ამას კარგად ხედავდენ ყველანი და უფრო მარიამ დედოფალი. ამ გარემოებამ ისე ცუდათ არავისზედ იმოქმედათ, როგორც მარიამ დედოფალზედ. ამ დღიდან მარიამ დედოფალმა რუსის გენერალი თვალით აღარ დაინახა. მას ახლოს არ იკარებდა და არც სამეფო სახლში უშვებდენ.

1802 წ. ბოლოს, საქართველოში ჩამოვიდა პირველ მთავარ მართებლად გარუსებული პ. ციციშვილი. ამის მოსვლით ლაზარევს დილა გაუთენდა, ამ დროს, პატონიშვილებს დაუწყეს რუსეთში გადასახლება, ბევრნი უკვე გადასახლებულნი იყვნენ, დარჩა ცოტაოდენი და მათ რიცხვში მარიამ დედოფალიც თავის წვრილი შვილებით. ლაზარევს ელირსა და მალე ამის ნებაც მისცა ციციშვილმა, რომ წადი შენ და მარიამ დედოფალი დაიჭირე და რუსეთში ძალით გაგზავნეო. ამის მიზეზი თურმე ის გახდა, რომ ლაზარევის ჩაგონებით, ერთ ლომეხს აფრიამოვს დაუბეზღებია ციციანოვთან, რომ დედოფალი მარიამი მთიულეთში იპარებაო.

ამიტომაც 18 აპრილს, 1803 წ. ღენერალი ლაზარევი დაეცა მარიამ დედოფალს რუსის ჯარით, თავის სახლში და ძალით [illegible]

ფალი ამაზედ აღელდა და გენერალი გაიცხა, მაგრამ მან კვლავად ძალადობა იხმარა, ამ დროს, იქ იყო ნიკ. ხიმშიაშვილი, დედოფლის მიშკარბაში.

გაბრაზებულმა დედოფალმა ნიკოლოზ ხიმშიაშვილს ხანჯალი სთხოვა, რომ ამით შებრძოდა ღენერალს, ნიკო ხიმშიაშვილს შერცხვა დედოფლის, მას ხმალი არ უბოძა და თვით დაარტყა გენერალს და თავი გააგდებინა. ამ დროს რუსის სალდათებმა დედოფალი მარიამ დასჭრეს კიდეც. ლაზარევის მოკლა დედოფალმა დაიბრალა! დედოფალი / თავის წვრილი შვილებით დაიჭირეს, მერე რუსეთში გადაასახლეს, ბელოგოროდის გუბერნიაში, დედათა მონასტერში, მარიამ დედოფალი რუსეთში გარდაიცვალა 1851 წ. გვამი მისი მცხეთაში მოასვენეს და დაასეფლავეს.

ამ ამბავს ასე გადმოქვცემს დავით ბატონიშვილი.

„შესმენითა სომეხი ზურაბ აფრიამოვისათა, შეასმინა დედოფალი, ვითომ იპარება ფშავშიო. რათა იძულებით წარაგზავნა რუსეთს, იქმნა მუნ შფოთი, სადაც რუსთა დაჰკოდეს დედოფალი მხარსა ამ შფოთსა შინა ხმლით მოკლეს ღენერალი ლაზარევიც, დედოფალი დაკოდილი ბრალეული ჰყვეს და შვილებითა თვისითა წარგზავნეს რუსეთს, ფრიად წვრილი შვილებით, რომლისა ჰვრეტა ზჭვრეტელთათვის იყო საზარო და დააპატიმრეს მარიამ ბელოგოროდის ოდათა მონატერ-

ში, რომელიც არის კურსკის ღუბერნიასა, ვინაიდგან ვანუნახველობითა თვისითა ციციშვილმან შეამთხვია ესე ვითარი ძვირი სახლსა სამეფოსასა და დასდვა სირცხვილი დიდი რუსეთსა".

მარიამ დედოფალმა შური იძია, საქართველოს სამეფოს მკვლელთ გული გაუგმირა.

კრწანისის ომი

სპარსელების დამარცხება ქართველებისაგან

კრწანისის ომის შესახებ, ჩვენში ყალბი ცნობებია გავრცელებული. ტყუილათ ლაპარაკობენ ბითქმის აღა მაჰმად-ხანმა ქართველები დაამარცხა, ამ სიმტყუნეს ჩვენ ისტორიული ფაქტების ახსნა გვასწავლის.

მართალია აღა მაჰმადხანმა თბილისი დაამხო და აიკლო, ხოლო მან ქართველი ერი კი ვერ დაამარცხა. გინდ ასეც იყოს, მაინც არც თვით დარჩა დაუმარცხებელი და ქართველებმა მას ისეთი დღე დააყენეს, რომ თბილისის აკლების შემდეგ, ის სულ 8 დღეს დარჩა საქართველოში და 9 დღეს თავის დაქეშილის და მასთან დამარცხებულის ჯარით ისევ სპარსეთის გზას დაადგა, ასე, რომ 1795 წ. 20 სექტემბერს, საქართველოში სპართელთა ერთი კაცის ხსენებაც აღარ იყო.

ეს ხომ ისტორიული ჭეშმარიტებაა, ხოლო

ჩვენში ბევრი უძღები შვილი იყო, რომელთა ხ
ლობა იყო ასე: ოსმალ-სპარსნი გვხოცავდენ, სპ
რსელებმა აგვიკლეს, აღა მაჰმადხანმა მეფე ერეკლ
დაამარცხა, თბილისი ააოხრა, პირში სული ამოგვ
ხადა, მერე რუსები მოვიდნენ და მას შემდეგ ჩ
გვიდგა ჩვენ პირში სული, რუსებმა დაგვიხსნ
ტანჯვა აოხრებისაგან. ეს კი ტყუილია და მოგონ
ბული ჭორები.

მეფე ერეკლემ რომ აღა მაჰმადხანი დაამარცხ
და ჯარი მოუსპო, ეს ცხადი საქმეა, ამას გაოაჩენ
შემდეგი ისტორიული გარემოებანი, რაც პირდაპირ
ეხება ქართველი ერის გმირობას და ვაჟკაცობას. ე
რომ მართალია, ამას ასაბუთებს ქართველ გმირებ
თა შემდეგი ისტორიული გარდმოცემა: აღა მაჰ
მადხანს სპარსეთიდან მოყვანილი ჰყავდა 300 ათა
სი ჯარის-კაცი, ერთი მწერლის სიტყვით კი 200
ათასი, უმეტესი ნაწილი კი სამას ათასს ასახელებს,
ერთი მწერალი კი 400 ათასს ასახელებს, მეფე
ერეკლეს კი ჰყავდა სულ 3000 ქართველი მხე
რობა, 3000 იმერეთის ჯარი იყო, 2000 კახელ
ჭიზიყელნი, 1000-მდე მთის ხალხი. 300 არაგველ-
ნი და 1000 თუში-ფშავ-ხევსურნი. სულ ესენი იქ-
ნებოდა ათი-ათასი კაცი. ეს ათი-ათასი კაცი უნდა
შებმოდა 300 ათას, 400 ათას კაცს, ამიტომაც
მეფე ერეკლე დიდათ იყო დაღონებული.

მეფე ერეკლემ თავისი ჯარი გაჰყო ოთხ ნაწი-
ლად, ანუ ოთხს სადროშოდ. ერთი ნაწილი ამ ჯა-

ჩისა დააყენა ტაბახმელასთან, ერთი ნაწილი შავნაბადასთან და ერთი ნაწილიც კრწანისთან, სოლოლაკის მთაზედ, თბილისის ციხესთან. ამ მხედრობას წინამძღვრობდნენ აი ვინ:

ივანე ბატონიშვილი წინამძღოლობს კრწანისის ველის მხედრობას.

კონსტანტინე მუხრან-ბატონი ტაბახმელასთანა.

დავით ბატონიშვილი—სოლოლაკის მთაზედ. აქვე ერია მეფე ერეკლე და შავნაბადასთან დაყენებულ ჯარს წინამძღოლობდა ივანე აბაშიძე.

სოლოლაკის მთაზედ, ქართველ მხედრობაში ერივნენ 300 არაგველნი, აქ ამათ წინააღმდეგ იბრძოდა 60 ათასი სპარსელნი. ეს ამოდენა ჯარი ამ 300 არაგველთა ისე დაამარცხეს, რომ მათგან კაცი არ დარჩა, ამ გარემოებამ აღა მაჰმად-ხანიც მეტად გააკვირა.

ამ დღეს დავით ბატონიშვილმაც დიდი გმირობა გამოიჩინა. დავითმა თავის მხედრობით შემუსვრა სპარსთა მხედრობა, მიტომ თვით ქართველებიც გაწყდენ, მაგრამ არც სპარსელები დასტოვეს შეუმუსრავი, არც ერთი ზარბაზანი არ ჩაუგდია სპარსელთ ხელში და ყველა ზარბაზნები ისეთ ხევში ჩაყარეს, რომ სპარსელებმა ველარ შესძლეს მათი ამოკრეფა.

ივანე ბატონიშვილიც მხნედ იყო ამ დღეს და ამან თავის გლეხ-გმირებით შემუსრა თითქმის მესამედი ნაწილი სპარსელების, მესამე დღეს სპარსნი

ისე დანაკლისდნენ, რომ 15 სექტ. იგინი თბილისიდან გაპარვას აპირებდენ, მაგრამ გაჩერდნენ, რა დგანაც ქართველებში გამოჩნდნენ შინაური იუდები და ყველს აუწყეს ქართველთ ცნობები და ამიტომ ყეინიც ალარ წავიდა, გაჩერდა თბილისში და მოხვდა დამხობა ქალაქის, თუმცა თვითონაც იქმნა დამხობილი.

კრწანისთან ბრძოლაში, ამ დღეს, ბევრმა ვაჟკაცმა ასახელა თავი და უფრო გლეხობამ. ამ გმირების შესახებ ჩვენ რაც ვიცით ახლა მოვიყვან აქ.

ამ ომში, პირისპირ მაჰმადხანის ჯარის წინაშე დიდის გმირობით აღმოჩნდა გლეხკაცისშვილი გიორგი მახათაძე, რომელიც სპარსელებს სასტიკათ ჰკაფავდა.

ამ გიორგი მახათაძეს გვერდით იყო და იბრძოდა გელა ნათელაშვილი, ერთგული გმირი და ქებული ვაჟკაცი ომებში, გელა ნათელაშვილი, რომელმაც სპარსნი გააკვირვა.

ამ ორს გმირებზედ უფრო უძლიერის გმირობით აღმოჩნდა ამათივე ამხანაგი გლეხის შვილი პაატა თემურიშვილი, ზოგნი ამას დემურაშვილათ იტყვიან. ამ პაატამ გადაარჩარბა თავის ორს ამხანაგს, ამას თავის წილათ ახლდენ 12 ამხანაგი გლეხის გმირ ბიჭები. ამათ ქმნეს ის, რომ სპარსეთის ჯარის დიდი რიცხვი გაარღვიეს შუა და მერე მათ დაუწყეს კაფვა. ამ გარემოებამ სასტიკათ გააბრაზა ალა-მაჰმედ-ხანი. ეს დიდათ გაბრაზდა ამაზედ და ალარ იცოდა რა ექნა.

К602

ალა მაჰმედ-ხანის შემოსევა საქართველოში, მოხდა ქართველთ მტრების ბოროტებით, ასეთნი იყვნენ პავლე იმპერატორი რუსეთისა და იმ დროის სომეხთა ეპისკოპოსი იოსებ არღუთოვი, რომელიც რუსეთში ცხოვრებდა და იქ ეს მრქმედებდა გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად საქართველოს სამეფოს დასაღუპად. პირველი: რუსნიც აქეზებდნე ალა მაჰმედ-ხანს საქართველოზედ ამხედრებს და ქართველთ მოსპობას. მეორე ამ საქმეში არც სომეხთ ეპისკოპოსი არღუთოვია ხელდაუბანელი; ამიტომაც ჰსწერს ალექსანდრე ორბელიანი, რომ საქართველოს სამეფოს დაღუპვის საქმეში არც სომხები გახლავან ხელდაბანილებიო და თვით იმ დროის სომეხთა ეპისკოპოსი, ანუ არაჩნორთი იოსებ არღუთოვსაც მიუძღვის ღალატიო. ეხლა აქ მოკლეთ მოვიყვანთ ცნობებს, თუ ვინ გახლავთ ეს იოსებ არღუთოვი.

ეს გახლავთ საქართველოს თავადიშვილის გვარის წევრი, არღუთაშვილის ოჯახიდან, იგი იყო ეპისკოპოსი და სცხოვრებდა რუსეთში, სადაც იგი მიღებული იყო დიდის პატივისცემით და სცხოვებდა ხან მოსკოვს და ხან პეტერბურგს. იოსებ ეპისკოპოსი ისე სახელოვნებდა, რომ მას კარგად იცნობდა ეკატერინე, პავლე და ამათი შვილი ალექსანდრე იმპერატორიც. არის ცნობილი, რომ იოსებ ეპისკოპოსი [illegible] პატივისცემით [illegible] თვით

№ 1/29

დათ. იყო მათში პატივცემული და ქებული. ამ პირ-
მა რუსეთის მთავრობას პირობა მისცა, რომ მე თუ
ოდესმე სომეხთ კათალიკოზათ გავხდი, მაშვინ მე
სომხის ეკლესიას რუსის ეკლესიას შემოუერთებო
ვან თავის წადილსაც მიაღწია, მეფე გიორგის გამე-
ფების შემდეგ 1799 წ. გარდაიცვალა სომეხთ კა-
თალიკოზი ლუკა.

ამის შემდეგ კათალიკოზათ დასახელებული
იქმნა ეს იოსებ არღუთოვი, ეს მალე ჩამოვიდა თბი-
ლისში და მეფე გიორგის პავლე იმპერატორის წე-
რილი მოუტანა, ეს სთხოვდა მეფე გიორგს, რომ
სომეხ კათალიკოზათ ეს იოსებ არღუთოვი დაამ-
ტკიცეთო, მეფემ შეისმინა ეს დავალება, ხოლო დამ-
ტკიცება კი ველარ მოხდა, რადგანაც იმ ღამეს
იოსებ არღუთინსკი აბანოში წავიდა, იქ მოწამლეს
სომხებმა და იმ ღამესვე გარდაიცვალა მოწამლვით.

ეს მოწამლვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ
სომხება კარგათ შეიტყვეს კათალიკოზის ღალატი.

ამ წერილის დედანი მე წამართვეს 1878 წ.
ახლა აღვადგინე მოკლეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა